

კორპორაციების დაბეგვრის თავისებურებები

თანამედროვე პრაქტიკაში არსებობს ბიზნესის წარმართვის მრავალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. აღნიშნული ფორმები დაბეგვრის თვალსაზრისით შეიძლება გაერთიანდეს ორ ჯგუფში: ბიზნესი, რომელიც ხორციელდება ეკონომიკის არაკორპორაციულ სექტორში და ბიზნესის ორგანიზაციის კორპორაციული ფორმა. ეკონომიკის არაკორპორაციული სექტორი წარმოადგენს ინდივიდუალური დაბეგვრით სუბიექტს. რაც ნიშნავს, რომ მეწარმე ფიზიკური პირის საერთო შემოსავლიდან დაბეგვრის მიზნებისათვის გამოიქვითება კომერციული ხარჯები. არაკორპორაციული გადასახადის გადამხდელებს განეკუთვნებიან მოქალაქეები და უცხოელი რეზიდენტები სათანადო იურისდიქციით, ასევე საწარმოს არაკორპორაციული ფორმები. ამ შემთხვევაში გარკვეული საქმიანობისას მთლიანი შემოსავალი შეიტანება მოქალაქის ან უცხოელი რეზიდენტის ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციაში და გამოიყენება ამ გადასახადით გათვალისწინებული წესები და განაკვეთები.

სიტყვა კორპორაცია დღეისათვის ყველაზე დამახასიათებელია ანგლოამერიკული და იაპონური სამართლისათვის, ხოლო სხვა ქვეყნებში ამ ტერმინს სააქციო საზოგადოება შეესაბამება. აქციის მესაკუთრე მართვის ორგანოს არჩევნებში მონაწილეობს და უფლება აქვს მიიღოს შემოსავლი კორპორაციის კაპიტალში მისი წილის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ეკონომიკურ ლიტერატურაში აქციონერულ საკუთრებას რამდენიმე სახესხვაობად ყოფენ. კერძოდ განასხვავებენ მენეჯერების, თანამშრომლების და ცალკეული ინდივიდების აქციონერულ და კორპორაციულ საკუთრებას. ამ შემთხვევაში სააქციო საზოგადოების აქციები ძირითადად თავმოყრილია იურიდიული პირების (ინსტიტუციური ინვესტორებისა და სხვა კომპანიების) ხელში.¹

მოგების მიღების მიზნით შექმნილი კორპორაციების გარდა არსებობს სხვადასხვა სახის არამომგებიანი კორპორაცია: რელიგიური, სამეცნიერო-კვლევითი, საქველმოქმედო, საგან-

რამაზ ოთინაშვილი –
სტუ-ს სრ. პროფესორი
არჩილ ბერსამია –
სტუ-ს დოქტორანტი

მანათლებლო, აგრეთვე, შემოქმედებითი კავშირები. არამომგებიანი კორპორაციები მოგების გადასახადს არ იხდიან, თუ მათი საქმიანობა შეესაბამება იმ მიზნებს, რომლისთვისაც შეიქმნენ და მიიღეს არამომგებიანი ორგანიზაციის სტატუსი. თუ კორპორაცია იმ საქმიანობის გარდა, რისთვისაც ის შეიქმნა, ეწევა კომერციულ საქმიანობას, მისგან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას.

მრავალი კორპორაცია თავის საქმიანობას იწყებს როგორც დახურული კორპორაცია რამდენიმე პირველდამწყებ ინვესტორთან ერთად, რომლებიც აქტიური არიან კორპორაციის მენეჯმენტშიც. მაგრამ, როგორც კი ბიზნესი უფრო პერსპექტიული ხდება და გაჩნდება დამატებითი კაპიტალის მოზიდვის მოთხოვნილება, ეს საკითხი კორპორაციაში წყდება აქციების გაყიდვის გზით. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აქციების თავისუფალი გაყიდვა კომპანიისთვის სასარგებლოა, ამიტომაც ყველა მსხვილი კორპორაცია ღიაა.

იმის მიხედვით თუ კორპორაციის აქციები როგორაა განაწილებული, განასხვავებენ ერთპიროვნულ და ჯგუფურ კორპორაციებს. ერთპიროვნულ კორპორაციებში აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი ერთი პირის ხელშია და შესაბამისად მასზეა დამოკიდებული კორპორაციის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხის გადაწყვეტა. ჯგუფურ კორპორაციებში მსგავსი ერთპიროვნული მფლობელი არ არსებობს.

ასევე, განასხვავებენ ადგილობრივ, უცხოურ და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს. ამ შემთხვევაში განმასხვავებელი ნიშანია რეგისტრაციის ადგილი და ფუნქციონირების არეალი.

კორპორაციის საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ განვითარების სტრატეგიაში აუცილებელია მომხმარებელზე ორიენტაცია. იგი ცალმხრივი არ უნდა იყოს. თანაბრად უნდა ითვალისწინებდეს როგორც მომხმარებლის ინტერესებს, ისე მთელი კოლექტივის ცხოვრების დონის სათანადოდ უზრუნველყოფას. მომხ-

¹ Вислен Ю., Савченко Б. Российское госпредпринимательство. Корпоративная ипостась. Российский экономический журнал, 2007, №2, стр. 32.

მარბელი გამოდის ინვესტორის როლში, ამიტომ იგი ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი პროდუქციის (მომსახურების) წარმოებას, ახალი ბაზრების ათვისებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას და ა.შ. კოლექტივსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობის რთულ პროცესებზე გავლენას ახდენს რიგი ფაქტორებისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთიანი კოლექტივის შექმნა, საერთო მიზნებისათვის მათი ენერგიის, პოტენციალის სწორად წარმართვა. კორპორაციის გამოცდილებამ დაადასტურა, რომ თანამედროვე პირობებში აუცილებელია პროფილის მრავალფეროვნება (წარმოების სხვადასხვა მიმართულება).

ამასთან, დადასტურდა, რომ ეკონომიკურ სტრატეგიაში ორი კომპონენტია უმთავრესი: განვითარება და კონკურენტუნარიანობა, რაც საბოლოოდ ქმნის მყარი სოციალური პოლიტიკის განხორციელების ობიექტურ საფუძველს.

კორპორაციის მოგებაზე გადასახადის ზემოქმედების ეფექტები კარგადაა ილუსტრირებული ა. მარშალის შრომებში. მისი თვალსაზრისით, ინგლისში 1920 წელს, გადასახადი მოგებაზე არც მოკლევადიან და არც გრძელვადიან პერიოდში არავითარ შემთხვევაში არ ახდენს გავლენას ფირმის მიერ პროდუქციის წარმოებაზე. ამასთან, ეს ანალიზი დამოკიდებულია იმ მოსაზრებაზე, რომ კაპიტალური ხარჯები არ შედის საგადასახადო ბაზარში და გადახდის ობიექტი არის მხოლოდ წმინდა მოგება. აღნიშნული პრობლემა განავრცო რობერტ-სონმა 1927 წელს. საგადასახადო ბაზრის განსაზღვრა ნამდვილადაა საკვანძო საკითხი. სირთულეები არსებობს ამორტიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის დროსაც, ასევე, აქტივების მნიშვნელოვანი შემცირების, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, კაპიტალური ღირებულების მატების ან ფასდაკლებისა და ფირმათშორისი დივიდენდების შემთხვევაში. ჩვენ პრეტენზიას არ ვაცხადებთ კორპორაციული გადასახადების შესახებ კანონის დაწვრილებით ანალიზზე. მაგრამ, ავნიშნავთ, რომ არსებობს ზოგიერთი ძირითადი თავისებურება, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ კორპორაციულ გადასახადებზე.² მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ორმაგი დაბეგვრა და ამორტიზაციის ანარიცხის გამოქვითვა.

რაც შეეხება კორპორაციათა გადასახადის განაკვეთებს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, ის შემდეგნაირად გამოიყურება: კორპო-

რაციული გადასახადის ძირითადი განაკვეთი აშშ-ში – 34%-ია. ევროპის ქვეყნების მსგავსად იგი საფუძვრებრივია: პირველი 50 ათასი დოლარისათვის 25% და 34%-ია დანარჩენი თანხებისათვის. შემოსავლებზე 10-ან 335 ათას დოლარზე დაწესებულია დანამატებით 5%-იანი მოსაკრებელი. ეს თავისებური სტიმულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვისაც. დიდ ბრიტანეთში კი კორპორაციის მოგებიდან გადასახადი 35%-ია. მცირე ბიზნესს ეძლევა 10%-იანი შეღავათი (აქ მცირედ ითვლება კომპანია, რომლის წლიური მოგება 250 ათას გირვანქა სტერლინგს არ აღემატება). საგულისხმოა, რომ სამეცნიერო გამოკვლევებზე გაწეული ხარჯები მთლიანად გამოირიცხება მოგებიდან. რაც შეეხება ნავთობმომპოვებელ კომპანიებს, იბეგრება მათი შემოსავლის ნახევარი (აღრე არსებული 70%-ის ნაცვლად); აღსანიშნავია, რომ გერმანიაში კორპორაციის შემოსავლებზე საგადასახადო განაკვეთი 42%-ის, რეწვის გადასახადი ერთ-ერთი ძირითადი ადგილობრივი გადასახადია გერმანიაში. ამ გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარებიან საწარმოები, ამხანაგობები, ფიზიკური პირები, ანუ ყველა, ვინც დაკავშირებულია სავაჭრო, სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობასთან. ამ შემთხვევაში დასაბეგრი ბაზაა რეწვიდან მიღებული მოგება და კომპანიის კაპიტალი. საპროცენტო განაკვეთებს განსაზღვრავენ მუნიციპალური ორგანოები (მოგების 5% და ძირითადი კაპიტალის 0,2%). ამასთან დაუბეგრავე მინიმუმი შეადგენს 36 ათასს, ხოლო კაპიტალისათვის 120 ათას დოლარს.³

ამჟამად 1000 უმსხვილესი ბიზნეს კორპორაცია მსოფლიოს პროდუქციის თითქმის ნახევარს აწარმოებს. 40 ათასამდე საფინანსო სამრეწველო ჯგუფი და ტრანსნაციონალური კორპორაცია, რომლებსაც 180 ათასამდე ფილიალი გააჩნიათ 150 ქვეყანაში, მსოფლიოს სამრეწველო წარმოების, სავაჭრო სავაჭრო ოპერაციების თითქმის ნახევარს აკონტროლებენ, ხოლო ახალ ტექნიკაზე – პატენტებისა და ლიცენზიების 4/5-ს.⁴

კორპორაციების ფუნქციონირება გვიჩვენებს, რომ ისინი ორგანულად არიან დაკავშირებულნი კომერციულ ბანკებთან, სადაზღვეო, ინვესტიციურ, სატრანსპორტო, სავაჭრო და ინფორმაციულ სისტემებთან. მათ შორის უკუკავშირებით ყალიბდება ახალი ტიპის ორგანიზაციულ-ეკო-

³ Леонтьев В. Экономическое эссе. М. 1990. стр.115.

⁴ ნ. ჭითანავა, იხ. მსხვილი სამეურნეო სტრუქტურების როლი ინტეგრაციულ პროცესებში, საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები, ტ. II, თბ., გვ. 464.

² Атkinson Е.Б., Стиглиц Ж. Е. Лекции по экономической теории государственного секрета. М. 1995. стр. 183.

ნომიკური ურთიერთობები, რომლის ბაზაზე ხდება დიდი საწარმო-საფინანსო პოტენციალის კონცენტრაცია, რაც უზრუნველყოფს კორპორაციის ეფექტიანობას.

მსოფლიო პრაქტიკაში გამოყოფენ ხუთ ფუნდამენტურ მიზეზს, რომელნიც ასტიმულირებენ კორპორაციის განვითარებას:

1. მისწრაფება კორპორაციის მოგების მაქსიმიზაციისკენ. იგი იქმნება პროდუქციის მოცულობის გადიდებით საშუალო დანახარჯების შემცირების ხარჯზე. შემცირება მიიღწევა რესურსების ხასიათის შეცვლით, ტექნიკური სიახლეების გამოყენებით, სპეციალიზაციის გაძლიერებით;

2. სუბიექტის მისწრაფება, მიადწიოს ეკონომიკის ზრდაში, თითოეული ფირმის საქმიანობაში იქმნება ისეთი რესურსები, რომელთა გამოყენება თავისი მოქმედების სფეროთი შეუძლებელია;

3. კორპორაციის ზრდის სტიმულად მიიჩნევენ იმ დანახარჯების ეკონომიკას, რომელიც წარმოიქმნება საბაზრო ხელშეკრულებათა განხორციელებისას (როცა საქონელი ერთი ტექნოლოგიურად განცალკავებული სტრუქტურიდან გადადის მეორეში, ხდება გარიგება, ტარდება ოპერაცია, ფორმდება კონტრაქტი - ხელშეკრულება). ასეთი დანახარჯები განსაკუთრებით დიდია საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების დღეებანდელ ეტაპზე, რაც გამოწვეულია იმით, რომ მეწარმე კარგად არ იცნობს თანამედროვე ბაზარს;

4. კორპორაციების მისწრაფება მოიპოვონ კონკრეტული უპირატესობა დარგობრივ, ნაციონალურ და მსოფლიო ბაზრებზე. აღნიშნული სხვადასხვა ფორმით მიიღწევა. მასში შევა კორპორაციებში შემაჯავლი ფირმების კოორდინაციით, შიდა საფირმო და სხვა დონეზე რესურსების გადანაწილებით მიღებული ეკონომია. ამრიგად, ეკონომია „ზრდის პროცესში“ მოიცავს ტექნოლოგიურ ეკონომიას, პროდუქციისა და ბაზრების მრავალფეროვნებით, დანახარჯებისა და კონკურენტული უპირატესობით მიღებულ ეკონომიას;

5. კორპორაციები მიისწრაფვიან ბიზნესი განათავსონ იმ ქვეყნებში, სადაც დაბეგვრის რეჟიმი უფრო შეღავათიანია. ამ შემთხვევაში კორპორაციები გარდაიქმნებიან ტრანსეროვნულ კომპანიებად.

მიმწოდებლებისა და მომხმარებლების ინტეგრაციულ სისტემაში მართვა ქმნის ურთიერთგაგების და ხელსაყრელი პარტნიორობის პირობებს. მიმწოდებლებს აძლევს გარანტირებულ ბაზარს, რაც ამაღლებს სისტემის საერ-

თო ეფექტიანობას. ეს სისტემა გამოიყენა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1984-1986 წლებში. კორპორაციამ - "HewLet-tpacKozd" - შეამცირა საწარმოო მარაგი და მიწოდება 50%-ით, შრომის პირდაპირი დანახარჯები 30%-ით, არაპირდაპირი - 26%-ით.⁵

დღეს კორპორაციების ეფექტიანად ფუნქციონირების აუცილებლობას განსაზღვრავს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა - ეკონომიკის სტაბილიზაცია. საქმე ისაა, რომ ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბება ფინანსური, საწარმოო და ინტელექტუალური პოტენციალის კონცენტრაციით, როგორც აშშ-ის, გერმანიის, სამხრეთ კორეისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, ქმნის მყარი საქმიანობის პირობებს საბაზრო სივრცეში.

მეწარმეობის კორპორაციული ფორმის მეტად მნიშვნელოვან ნაკლოვანებად ითვლება ის, რომ ზოგიერთი ქვეყნის პირობებში წარმოიშობა კორპორაციის შემოსავლის ორმაგი დაბეგვრის ფენომენი. იგი ერთეულ მოგებაზე იხდის უფრო მაღალ გადასახადს ვიდრე ფირმის სხვა ორგანიზაციული ფორმები. მათი შემოსავალი განაწილებამდე პირველ რიგში იბეგრება კორპორაციათა მოგების გადასახადით, ხოლო განაწილების შემდგომ აქციონერთა ერთობლივი შემოსავლის შემადგენლობაში ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადით.

მაღალი მოგება ფირმას საშუალებას აძლევს, გაზარდოს საკუთარი რესურსები კაპიტალდაბანდებების გზით და მოიზიდოს დაბალპროცენტიანი სესხი. ზარალიან და გადახდისუუნარო საწარმოებს მხოლოდ მაღალპროცენტიან სესხებს აძლევენ. ამიტომ საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის ფინანსირების ძირითადი ფორმაა მოგების კაპიტალიზაცია. გარედან ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვა ავსებს, მაგრამ ვერ ცვლის მას.

ზოგიერთ კორპორაციას ჰყავს ათასობით წვრილი აქციის მფლობელი, რომლებიც დიდ ინტერესს არ იჩენენ კორპორაციების მიმდინარე საზრუნავის მიმართ. ბევრმა მათგანმა ზოგჯერ არც კი იცის კომპანიის რეზიდენციის ან ხელმძღვანელის და ა.შ. შესახებ. მათი ინტერესები ძირითადად ვლინდება: ა. გადაუხდის თუ არა კომპანია დივიდენდებს და თუ გადაუხდის რა ზომით; ბ. გაძვირდება თუ არა აქტივები - კორპორაციის წვრილ მესაკუთრეთა არასაკმარისი ინტერესების გამო იკარგება კონტროლი დაქირავებულ მენეჯერებზე, რომლებიც ხშირ-

⁵ Журнал Мировая экономика и международные отношения. М.1999. №9. стр. 58.

ად არ არიან ბიზნესის კოლექტიური მესაკუთრეების ინტერესების სათანადოდ გამომხატველნი.

ეკონომიკაში ისეთი ნეგატიური პროცესების განვითარებისას, როგორიცაა: ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია, უმუშევრობა, სტრუქტურული ცვლილებები და სხვა, კორპორაციები დიდი რაოდენობით დანაკარგებს განიცდიან. მსგავს სიტუაციებში ისინი იძულებულნი არიან შეამცირონ წარმოების მოცულობა, დაითხოვონ თანამშრომლები და შეწყვიტონ დივიდენდების გაცემა. მცირე ფირმებს ან სხვა სამეწარმეო ფორმის საწარმოებს შედარებით უმტკივნეულოდ გადააქვთ ეკონომიკური კატაკლიზმები, რადგანაც ისინი თავიანთი მოცულობებიდან გამომდინარე, ავლენენ ელასტიკურობის მაღალ ხარისხს.

საბაზრო სისტემაზე გარდამავალ პერიოდში კორპორაციული ფორმების განვითარების მსოფლიო გამოცდილების შესწავლა და ანალიზი, ამ მიმართულებით ჩვენთან არსებული პერსპექტივების გააზრება დღევანდლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მიგვაჩნია. გარდა ამისა, აღნიშნული საკითხების შესწავლა იმითაც არის საინტერესო, რომ ვიცოდეთ თუ როგორ ეკონომიკურ სივრცეში მოუწევს ეროვნულ ეკონომიკას ფუნქციონირება. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კორპორაცია ბიზნესის ორგანიზაციის მსხვილი ფორმაა მსგავსი სტრუქტურების მიმართ, წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენთან ფრთხილი დამოკიდებულება არსებობს. ამიტომ აქტუალურია ამ მიმართულებით ჩატარებული ნებისმიერი კვლევის მნიშვნელობა.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში გავრცელებულია სააქციო საზოგადოებები. 1998 წლის მონაცემებით, საქართველოში 1160 სააქციო საზოგადოება დაფუძნდა, რომელთაგანაც სახელმწიფოს წილით იყო 529, მათგან 207 აქციების საკონტროლო პაკეტს სახელმწიფო ფლობდა.⁶

მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯებისა, ჩვენს პირობებში, კორპორაციული სტრუქტურების განვითარებაში შეიმჩნევა რამდენიმე დამაფიქრებელი ტენდენცია. კორპორაციათა ფორმირება დაკავშირებულია სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ მიღებულ დადგენილებებთან და არა მარტო იმ ობიექტურ პროცეს-

ებთან, რომლებმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს საწარმოთა გაერთიანების აუცილებლობას. ალბათ, საწყის ეტაპზე აღნიშნული მეთოდი არ გამოირიცხება. მაგრამ დამაფიქრებელია, რომ არ გვაქვს საწარმოთა ახალ ბაზაზე, ან სამთავრობო სტიმულირების შედეგად გაერთიანების პრეცედენტი.

თანამედროვე მსოფლიოში კორპორაციები მაღალგანვითარებული სტრუქტურებია, რომლებიც ბიზნესის სხვა ფორმებისაგან გამოირჩევიან ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით, უახლესი დანადგარებითა და მოწყობილობებით, რითაც გარკვეულწილად განპირობებულია მასში მონაწილე საწარმოების გაერთიანება, რასაც ვერ ვიტყვით ჩვენს პირობებში არსებულ უმრავლეს გაერთიანებაზე.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მსხვილი ბიზნეს სტრუქტურების ფორმირება, რომლებიც ძირითადად საბაზრო დარგებში უნდა ჩამოყალიბდეს. გასათვალისწინებელია, რომ მსხვილ სტრუქტურას სახელმწიფოსგან მხარდაჭერა ჭირდება. ჩვენი აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს მათ ფორმირებას ინდივიდუალური წესით, ნებაყოფლობით საწყისეზზე.

ეკონომიკის განვითარების დღევანდელი ეტაპის თავისებურების გათვალისწინებით მსხვილი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მომზადდეს, ყველა აუცილებელი სამართლებრივ-ორგანიზაციული და ფინანსური საფუძველი. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა მეწარმეთა შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა, საკანონმდებლო ბაზის განმტკიცება. ამ სტრუქტურაში შემავალი საწარმოების აქციების საკონტროლო პაკეტი მართვისათვის უნდა გადაეცეს სათავო ორგანიზაციას, რაც ხელს შეუწყობს საწარმოო და ორგანიზაციული სტრუქტურის განმტკიცებას, შესაბამისად, მენეჯმენტის ხარისხის ამაღლებას, ბიუჯეტთან ურთიერთობას.

⁶ თ. შენგელია, კ. ციმინტია, მეურნეობის კორპორაციული ფორმები და მათი მართვის პრობლემები გარდამავალ პერიოდში. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, თბ., 1999, გვ. 388.

CORPORATION TAXING FEATURES

***RAMAZ OTINASHVILI - Full prof. of GTU,
ARCHIL GERSAMIA - PhD student of GTU***

The article refers to the organizational-legal types of managing business, which can be divided in two groups in terms of taxing: business that operates in the noncorporate sector of business and the corporative type of managing business. Modern corporations are highly developed structures, which are distinguished with modern technology and newest equipment.

The word corporation nowadays is most characteristic to the Anglo-American and Japan legislation. In other countries this term refers to the joint ventures. According to how the shares of the corporation are allocated, personal, group, open and closed, transnational and other corporations are known.

According to the analyses of the corporation activity two major components are essential in their economic strategy: development and competitiveness, which eventually creates an objective bases for sustainable social politics. The effects of corporation profit influencing the taxes are well illustrated in a. Marshall Works.

Nowadays over 1000 large corporations are producing nearly half of the world production. They are organically united with commercial banks, insurance, investing, transport, and trade and information systems. Through the connection among them, a new type of organizational-economic relations are created, on the bases of which a concentration of large producing-financial potential, that ensures the effectiveness of the corporation.